ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის მიერ, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარ-ნოემბერს)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, მერიისა და მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, საკრებულოს დადგენილებებითა და სხვა ადმინისტრაციული აქტებით.

მერიის საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 132 ერთეულით, აქედან 48 პირი დასაქმებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.

მერს ჰყავს ორი მოადგილე, პირველი მოადგილის საკურატორო სფეროა საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკა, ჯანდაცვა-სოციალური, კულტურა-განათლება. მეორე მოადგილე კი საზედამხედველო და ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერია აერთიანებს 10 სტრუქტურულ ერთეულს (ადმინისტრაციული სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური, შესყიდვების სამსახური, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, ზედამხედველობისა

და არქიტექტურის სამსახური, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური), რომლებიც დამტკიცებული დებულების მიხედვით წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.

კანონიერება, სამართლიანობა, საჯაროობა, კოლეგიურობა, ობიექტურობა-ეს ის ძირითადი პრინციპებია, რითაც ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ მერიაში დასაქმებული საჯარო მოხელეები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება თავისი მოქალაქეების მიმართ სოლიდარულია. არ გვაქვს დაწესებული მოქალაქეთა მიღების დღეები, ნებისმიერ დროს მერის კაბინეტი ღიაა ყველსთვის. ჩვენს საქმიანობაში პრიორიტეტი მოსახლეობა და მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებაა. დიდი გულისხმიერებით ვუდგებით ნებისმიერ საკითხს და შესაბამის სამსახურებთან ერთად ვსახავთ მოგვარების გზებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მე და ჩემმა გუნდმა მოვახერხეთ, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეგვეცვალა მუნიციპალიტეტში. ამ ერთი წლის განმავლობაში ხარაგაულში განხორციელდა უპრეცედენტო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, დიდი ყურადღება მიექცა სოციალურ და ჯანდაცვის სფეროს. გარდა ამისა, მაქსიმალურად შევუწყვეთ ხელი ახალგაზრდების დასაქმებას საჯარო სამსახურში.

აქტიურად და კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ სამხარეო ადმინისტრაციასთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მაჟორიტარ დეპუტატთან და სხვა უწყებებთან. სწორედ გუნდური და ერთობლივი მუშაობის შედეგია ის, რომ ხარაგაულში ამდენი კარგი და საჭირო პროექტი ხორციელდება.

წარმოგიდგენთ თითოეული სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობას

ინფრასტრუქტურა

მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 11 მილიონ ლარამდე დაიხარჯება. ძირითადი პრიორიტეტი მიენიჭა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და ბეტონის საფარი

დაიგო ისეთ სოფლებში, სადაც კეთილმოწყობილი გზები არასდროს ყოფილა. გარდა ამისა, განხორციელდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები, რეაბილიტირდა საჯარო სკოლები, აშენდა ახალი საბავშვო ბაღები და სხვა. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა რეგიონული განვითარების ფონდიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2021 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 521 191 ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა 30 პროექტი.

ამ ეტაპზე დასრულებულია:

ვარძიაში- საუბნო გზის რეაბილიტაცია- პროექტის ღირებულება- 275,535 ლარი;

მოლითში- ცენტრალური გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება- 109,943 ლარი.

ჩხერში-ცენტრალური გზის რეაბილიტაცია- პროექტის ღირებულება 31 458 ლარი;

ბაზალეთში- საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჭიპაშვილების უბანი)-პროექტის ღირებულება-196 404 ლარი;

ვანი- ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება- 108 649 ლარი;

ქვებში-ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)- პროექტის ღირებულება-24 769 ლარი;

წყალაფორეთში- ბაღის უბნის გზისა და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-219 921 ლარი;

ვერტყვიჭალაში -საუბნო გზის რეაბილიტაცია -პროექტის ღირებულება 60 900 ლარი;

ახალსოფელში-ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-პროექტის ღირებულება 313 777 ლარი;

ღარიხევში- საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელიურის უბანი)-პროექტის ღირებულება 191 528 ლარი;

ბაზალეთში- საუბნო გზის რეაბილიტაცია (ნანიტაშვილების უბანი მეორე ეტაპი)-პროექტის ღირებულება -244 622 ლარი;

მაქათუბანში-საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 220 000 ლარი;

კიცხში- საუბნო გზების რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 147 000 ლარი;

ერეთა -დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 358,885 ლარი;

საქარიქედი (მუხების უბანი) -ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია- პროექტის ღირებულება- 284 451 ლარი;

მარელისში- ცისკაძეების სუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი)-პროექტის ღირებულება-168 000 ლარი;

ბორითში -საუბნო გზების რეაბილიტაცია (გოჭოურის უბანი)-პროექტის ღირებულება 100 000 ლარი;

თეთრაწყაროში -საუბნო გზების რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 306 904 ლარი;

ლეღვანში-ეკლესიისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია (ქვიანთი)-პროექტის ღირებულება-200 000 ლარი;

ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-200 000 ლარი;

ხევში- საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-112 541 ლარი;

სარგვეშში- საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 97 300 ლარი

უბისაში- საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 85 000 ლარი;

ლახუნდარაში -საუბნო გზის რეაბილიტაცია- პროექტის ღირებულება -108 500 ლარი;

ვარძიაში- საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესამე უბანი)-პროექტის ღირებულება 134 880 ლარი;

ფარცხნალში- ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-პროექტის ღირებულება -97 900 ლარი.

მიმდინარეობს და დასრულების ეტაპზეა:

ვანი-სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-271 420 ლარი;

სარგვეშში- სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია (ცისკაძეების უბანი)-პროექტის ღირებულება 220 095 ლარი;

ბორითში- საუბნო გზების რეაბილიტაცია (გორგაძეების, ფაბრიკის უბანი)-პროექტის ღირებულება-250 000 ლარი;

მრავალბინიანი სახლები

დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აივნების რეაბილიტაცია ხორციელდება. პროექტის ღირებულება 202 904 ლარია. გარდა ამისა, დიდვაკეში რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საერთო სარგებლობის კიბეებს, შეიცვალა ხუთსართულიანი ბინის სახურავი. აღნიშნული პროექტი ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 37 786 ლარით დაფინანსდა.

უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა

უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ მიმდინარე წელს ხარაგაულის მერიას 1 200 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით დაბა ხარაგაულში, ბაზრის ტერიტორიაზე, გზის ნაპირდამცავი კედელი აშენდა- ღირებულება 439 439 ლარი;

სოფელ ლეღვანში, კიბაბოურის უბანში, მოეწყო ახალი სახიდე გადასასვლელი-ღირებულება 349 000 ლარი; გარდა ამისა, ცენტრალურ გზაზე დასრულდა გაბიონების მშენებლობა-ღირებულება 147445 ლარი;

ასევე ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა დაზიანებული ხიდებისა და მილხიდების აღდგენა (საერთო ჯამში 7 ობიექტი აღდგება)-ღირებულება 175300 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად ეწყობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დიდი ყურადღება ექცევა მაღალმთიან დასახლებებს და მაქსიმალურად ხორციელდება ყველაფერი იმისათვის, რომ მოსახლეობა სოფლად დამაგრდეს.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ხარაგაულის 11 სოფელს აქვს მინიჭებული, რომელთა უმრავლესობაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. მიმდინარე წელს მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 650 000 ლარი გამოეყო და ორი პროექტი განხორციელდა. ეს პროექტებია:

გედსამანიის გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 300 000 ლარი;

ზვარის გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 350 000 ლარი.

საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები

,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ - საგრანტო კონკურსის ფარგლებში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარდგენილი ორი პროექტი იქნა მოწონებული. ამ ეტაპზე 619 170 ლარით უკვე დაფინანსდა ხუნევში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

გარდა ამისა, საგრანტო პროექტის ფარგლებში, უახლოეს მომავალში გამოიყოფა თანხები ხარაგაულის შემოსასვლელში, ე.წ ,,დევების“ ქანდაკებებისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 282 165 ლარი.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტები

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მიმდინარე წელს 890 000 ლარი გამოეყო, რომლითაც 148 პროექტის განხორციელება იყო დაგეგმილი, აქედან სამუშაოები უკვე დასრულებულია 146 პროექტზე. დარჩენილია ორი პროექტი, რომელიც უახლოეს დღეებში დასრულდება.

მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და მათივე გადაწყვეტილებით, აღნიშნული თანხები ძირითადად მცირე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე მიიმართა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ პროგრამაზე, თანადაფინანსების სახით, მერიამ 193 000 ლარი გამოყო.

საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში 58 დასახლებაში გზის რეაბილიტაცია განხორციელდა; მოეწყო გარე განათების სისტემა-32 პროექტი; სასმელი წყლის სისტემა-41 პროექტი; სხვადასხვა კატეგორია- 19 პროექტი;

კიცხი-ზესტაფონის გზის რეაბილიტაცია

სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდება ზესტაფონი-კიცხი-ხარაგაულის საავტომობილო გზის 21-კილომეტრიან მონაკვეთს. ამ მიზნით სამუშაოები სხვადასხვა ლოკაციაზე უკვე დაიწყო. ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს ,,New Road", სამუშაოებს 14 288 888 ლარად ასრულებს. პროექტი 18 თვეში დასრულდება.

ღორეშა-სარგვეში-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია

დასრულდა ღორეშა-ბაზალეთის დამაკავშირებელი გზის სრული კაპიტალური რეაბილიტაცია. მოსახლეობას უკვე შესაძლებლობა აქვს, ხარაგაული - ბაზალეთი - სარგვეში- ღორეშა - უბისის გავლით, თბილისი- სენაკი ლესელიძის საერთაშორისო ავტომაგისტრალს ახლად რეაბილიტირებული გზით დაუკავშირდეს. ეს არის ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი, რომელიც ამ ხეობის მცხოვრებთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად 8 730 100 ლარი დაიხარჯა.

შეწყვეტილი პროექტები

ხარაგაულში ინფრასტრუქტურული მიმართულებით განსახორციელებელ პროექტებზე გარკვეული პრობლემები არსებობდა. როდესაც მერის უფლებამოსილების განხორციელებას შევუდექი, დამხვდა ისეთი პროექტები, რომლებიც 2018 -2019 წლებში უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ვერ დასრულდა. მე და ჩემმა გუნდმა დავიწყეთ აღნიშნულ საკითხებზე აქტიური მუშაობა და ჩვენ შევძელით, რომ ეს პროექტები გაგვეახლებინა. მოხდა დარჩენილი სამუშაოების გამიჯვნა, თუმცა ფასთა ცვლილების გამო, საჭირო გახდა პროექტების გადაფასება. გაზრდილი ღირებულება კი შეივსო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 284 564 ლარით. ჯამში ასეთი 10 პროექტი გვქონდა, რვა პროექტზე სამუშაოები დასრულდა, ორზე კი-მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე დასრულებულია:

სოფელ მოლითისა და ბაბის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 283 126 ლარი;

სოფელ წყალაფორეთში ბაღის უბნის გზისა და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია- პროექტის ღირებულება- 304 999 ლარი;

სოფელ თეთრაწყაროში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)- პროექტის ღირებულება -150 000 ლარი;

სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია(პირველი ეტაპი)-პროექტის ღირებულება 202 556 ლარი;

სოფელ ზედუბნის გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება- 268 216 ლარი;

სოფელ ნუნისის გზის რეაბილიტაცია (ხიდიდან -მონასტრამდე)-პროექტის ღირებულება 217 042 ლარი;

ლეღვანი - მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია- (მეორე ეტაპი),- პროექტის ღირებულება 137 475 ლარი;

გოლათუბანში სხვერისა და სადგურის უბნის გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 275 500 ლარი;

სამუშაოები მიმდინარეობს:

სოფელ სარგვეშის სასოფლო გზის რეაბილიტაცია -პროექტის ღირებულება 440 189 ლარი;

სოფელ დეისის გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 361 756 ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტები

მიმდინარე წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. კერძოდ:

ხიდარში აგვისტოს ომში დაღუპულ ზაზა გლუნჩაძის საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 60 000 ლარი;

სოფელ ბორითში საუბნო გზის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება 60 000 ლარი;

ვახანის, ზვარის, მოლითისა და წიფის ადმინისტრაციულ ერთეულებში საუბნო გზების შეკეთება- პროექტის ღირებულება 41 000 ლარი;

ბაზალეთის, ლაშის, სარგვეშის, ღორეშისა და ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულებში საუბნო გზების შეკეთება-პროექტის ღირებულება 38 195 ლარი;

ლეღვნისა და საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულებში საუბნო გზების შეკეთება-პროექტის ღირებულება 32 645 ლარი;

ვარძიის, წყალაფორეთის, კიცხისა და ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულებში საუბნო გზების შეკეთება-პროექტის ღირებულება 32 788 ლარი;

ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზების შეკეთება-პროექტის ღირებულება 10 855 ლარი.

საკანალიცაზიო სისტემა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სულ მალე ახალი წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა ექნება. ამ მიზნით, სამუშაოები აქტიურად ხორციელდება. შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულისთვის ეს არის უპრეცედენტო პროექტი, რადგან დაბაში კანალიზაციის სისტემა არასდროს ყოფილა. პროექტის ღირებულება 1 890 360 ლარია.

დაბა ხარაგაულის მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება

დაბა ხარაგაულის მოსახლეობა 24- საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება ლეღვნის სათავე-ნაგებობიდან შემომავალ 14-კილომეტრიან მაგისტრალს.

ასევე, სამუშაოები ითვალისწინებს წყალმომარაგების ქსელების, მაგისტრალების, ორი ახალი აუზის, ჭაბურღილების, სათავე ნაგებობებისა და სატუმბი სადგურის მშენებლობას. მოეწყობა ახალი რეზერვუარი, დაგეგმილია კორპუსებში შიდა გაყვანილობის მოწყობა და მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

პროექტის დასრულების შემდეგ ხარაგაულის 4 000-მდე ოჯახს ხარისხიანი და სტაბილური წყალმომარაგება ექნება.

საერთო ჯამში, ხარაგაულის 24-საათიანი წყალმომარაგების მიზნით, 6 მილონ ლარამდე დაიხარჯება.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს ჭაბურღილები მოეწყო:

ვარძიაში-პროექტის ღირებულება- 20 000 ლარი;

პატარა ვარძიაში-პროექტის ღირებულება 20 000 ლარი;

წყალაფორეთში-პროექტის ღირებულება 16 000 ლარი;

ლახუნდარაში-პროექტის ღირებულება- 20 000 ლარი;

დასასრულს უახლოვდება ზედუბანში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები-პროექტის ღირებულება 20 000 ლარი;

პარალელურად ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა მილების შეძენა და, საჭიროების მიხედვით, სოფლის მოსახლეობისათვის გადაცემა. მილების შესაძენად მიმდინარე წელს 73 000 ლარი დაიხარჯა.

„განახლებული რეგიონების“ ფარგლებში ხარაგაულში დაგეგმილი პროექტები

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობებს რეაბილიტაცია უტარდებათ. ასევე, დაგეგმილია სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე სკვერების განახლება, რაც სრულიად შეცვლის და გაალამაზებს ხარაგაულის იერსახეს.

ბუნებრივი აირი

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში ბუნებრივი აირი ჩაირთო. ლაშე, კიცხი და ფარცხნალი-ეს ის სოფლებია, რომელთა გაზიფიცირება 2020-2021წ.წ. მოხდა. გარდა ამისა, გაზის მაგისტრალი მოეწყო სოფელ ვარძიაში და უახლოეს მომავალში დაიწყება მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დამატებით ხუთი სოფელი- ღარიხევი, წიფი, ქროლი, კიცხის იგორეთი და ლაშის იგორეთი- გაზიფიცირდება.

ბაღები

2021 წელს დასრულდა საღანძილის საბავშვო ბაღის მშენებლობა. ამ სოფელში სკოლამდელი დაწესებულება არასდროს ფუნქციონირებდა. პროექტის ღირებულება 720 000 ლარია. შენობა ორსართულიანია და 50 აღსაზრდელზეა გათვლილი.

2021 წელს დასრულდა ასევე ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღის მშენებლობა, ამ სოფელში გვქონდა საბავშვო ბაღი, თუმცა შენობა იყო ამორტიზირებული. პროექტის ღირებულება 720 000 ლარია. ორივე ბაღის შენობა არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და აღჭურვილია ახალი ინვენტარით. ბაღების მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ პატარები ღირსეულად, ყველა წესის დაცვით, აღიზარდონ. ამჟამად მუნიციპალიტეტში ოცდაერთი სკოლამდელი დაწესებულება ფუნქციონირებს, სადაც 600 აღსაზრდელი ირიცხება.

საჯარო სკოლები

ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის განათლება პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით, ხარაგაულის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები სისტემატურად ხორციელდება. 2020-2021 წ.წ სოფელ კიცხში აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა. პროექტზე 2 420 643 ლარი დაიხარჯა.

2021 წელს განხორციელდა სოფელ ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია- პროექტის ღირებულება 2 000 000 ლარი;

მარელისის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია-2 000 000 ლარი; მარელისისა და ვერტყვიჭალის სკოლები ასევე აღიჭურვა ახალი ინვენტარით.

ზემოაღნიშნული პროექტები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

მიმდინარე წელს განხორციელდა ასევე სოფელ მოლითის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-პროექტის ღირებულება-36 500 ლარი;

მე-3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (შეიცვალა შენობის სახურავი)-პროექტის ღირებულება-33,382 ლარი;

სოციალური და ჯანდაცვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გვაქვს საკმაოდ მრავალფეროვანი სოციალური პროგრამები, რომლებითაც ჩვენი მოქალაქეები სისტემატურად სარგებლობენ. აქვე გეტყვით, რომ 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე გათვალისწინებული იყო 970 400 ლარი, თუმცა ბიუჯეტის დამტკიცებამდე, ჩემი ინიციატივით, ეს რიცხვი 1105,4 ათას ლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა საბიუჯეტო ცვლილება, და დღეის მდგომარეობით, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ პროგრამებზე 1358,9 ათასი ლარია გათვალისწინებული. მიმდინარე წელს დავნერგეთ ახალი პროგრამები, არსებულები კი გავაუმჯობესეთ. გავზარდეთ ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის დაფინანსება. განვაახლეთ სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების ქვეპროგრამა, ასევე დავამატეთ გადაუდებელი რეაგირებისა და ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარების ქვეპროგრამები. ამჟამად 22 ქვეპროგრამა გვაქვს.

საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალური მიმართულებით 870,9 ათასი ლარი დახარჯა და დახმარება 4277 მოქალაქეს გაეწია.

მათ შორის:

სამკურნალო, საოპერაციო და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გაიცა 380,4 ათასი ლარი (ისარგებლა 613-მა ბენეფიციარმა); აღსანიშნავია, რომ მერია სამედიცინო კვლევებს აფინანსებს სრულად, 500 ლარის ფარგლებში. უნდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წელს არსებული გამოწვევის გათვალისწინებით, მედიკამენტების შეძენაში ვეხმარებით კოვიდის შემდგომ გართულებების მქონე პაციენტებს. გარდა ამისა, 6

წლამდე ასაკის ბავშვებს პოსტკოვიდური გართულების ექვსდღიანი სარეაბილიტაციო კურსი დავუფინანსეთ კურორტ ნუნისში;

შშმ პირთა სამედიცინო და მედიკამენტების დახმარების ქვეპროგრამით დაიხარჯა-17,7 ათასი ლარი (ისარგებლა 35-მა ბენეფიციარმა);

შშმ პირის მომვლელის ქვეპროგრამით ყოველთვიურად სარგებლობს 42 ბენეფიციარი;

ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე გაიცა 207,5 ათასი ლარი (ისარგებლა 2333-მა ბენეფიციარმა), მიმდინარე წელს თანხის ლიმიტი გაიზარდა 500 ლარამდე;

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირებისათვის დაიხარჯა 20,9 ათასი ლარი (ისარგებლა 17-მა ბენეფიციარმა);

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისთვის- 9,3 ათასი ლარი (ისარგებლა 45-მა ოჯახმა);

100 წელს გადაცილებულთა ქვეპროგრამაზე- 1,5 ათასი ლარი (ისარგებლა 3-მა ბენეფიციარმა);

მარჩენალდაკარგულ ოჯახებზე- 4,4 ათასი ლარი (ისარგებლა 20-მა ბენეფიციარმა);

სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარებისათვის- 8,6 ათასი ლარი (ისარგებლა 41-მა ბენეფიციარმა);

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებისათვის-9,0 ათასი ლარი (ისარგებლა 5-მა ბენეფიციარმა);

ახალშობილთა ოჯახების დახმარებისათვის-16,7 ათასი ლარი (ისარგებლა 95-მა ოჯახმა);

ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვისთვის- 1.0 ათასი ლარი (ისარგებლა 4 ვეტერანის ოჯახმა);

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებისათვის-9,3 ათასი ლარი (ისარგებლა 40-მა ვეტერანმა);

უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფისთვის- 4,3 ათასი ლარი (ისარგებლა 5-მა ბენეფიციარმა);

მარტოხელა მშობლების დახმარებისათვის- 2,0 ათასი ლარი (ისარგებლა 10-მა ბენეფიციარმა. მომავალი წლისთვის მარტოხელა მშობლებისთვის გათვალისწინებულია ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით);

ყოველთვიური 30 ლარის ოდენობის დახმარებით სარგებლობენ სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები (100 მოქალაქე)- დახარჯულია 30,1 ათასი ლარი. მომავალი წლიდან გათვალისწინებულია ლიმიტის გაზრდა 50 ლარამდე;

ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარებისათვის გაიცა- 122,4 ათასი ლარი (ისარგებლა 99-მა ოჯახმა); აქამდე დახმარება იცემოდა მხოლოდ პირველი კატეგორიის დაზიანებულ სახლებზე. მიმდინარე წელს დაკმაყოფილდა მეორე კატეგორიაც.

სადღესასწაულო დღეებში დახმარება გაეწია უკიდურესად გაჭირვებულ 407 ოჯახს, ასევე, სხვადასხვა კატეგორიის 22 ბენეფიციარს, რისთვისაც დაიხარჯა 24, 45 ათასი ლარი;

მერია ახდენს მარტოხელა მოხუცების და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების საშეშე მერქნით დახმარებას. ამ მიზნით შეძენილია 210 მ3 საშეშე მერქანი, რომლის დარიგება დაწყებულია.

პანდემიით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად მერია ორჯერ დაეხმარა საკვები პროდუქტებით შეჭირვებულ ოჯახებს. პირველ ეტაპზე 34 000 ლარის საკვები პროდუქტები დაურიგდა 700 ბენეფიციარს, მეორე ეტაპზე ამ მიმართულებით 25 000 ლარი დაიხარჯა და 500-მა ოჯახმა ისარგებლა.

მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან, საანგარიშო პერიოდში, სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილ იქნა 34,9 ათასი ლარი. აქედან 8,3 ათასი ლარი მიმართულია მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში, 3,6 ათასი ლარი ერთჯერადი ფინანსური დახმარებისთვის, 23,0 ათასი ლარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სათნოების სახლი, რომელიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2021 წელს გავზარდეთ სათნოების სახლის მომსახურების არეალი. ამჟამად უფასო სადილს კვირაში ექვსი დღე იღებს

105 ბენეფიციარი. გარდა ამისა, ახლომდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი) 30 ბენეფიციარს, კვირაში ორი დღე, მზა საკვები ადგილზე მიეწოდება. ასევე, კოვიდ ინფიცირებულ ოჯახებს, რომელთაც ესაჭიროებათ სურსათი, სათნოების სახლი ადგილზე აწვდის საკვებ პროდუქტს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი აქტიურ პოლიტიკას ატარებს კოვიდ პანდემიის პრევენციის მიზნით. ა(ა) იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ყველა იმ ღონისძიებას, რაც საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროტოკოლებით არის განსაზღვრული. მუნიციპალიტეტში ტარდება როგორც PCR კვლევა, ასევე ანტიგენ ტესტი. საჭიროების შემთხვევაში ხდება მოქალაქეთა ბინაზე ტესტირებაც.

რაც შეეხება ვაქცინაციას, ორ ლოკაციაზე -ხარაგაულისა და ბორითის კლინიკებში-ხორციელდება. იმისათვის, რომ მოქალაქეები შეუფერხებლად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, ტრანსპორტირებას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებამდე, უზრუნველყოფს ხარაგაულის მერია. მერია ასევე აქტიურ კომუნიკაციაშია კოვიდიან ოჯახებთან, ხდება მათი დახმარება საჭიროებებიდან გამომდინარე.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 8 018,9 ათასი ლარით, თუმცა, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, შემოსულობები გაიზარდა 9 892,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 17 911,8 ათასი ლარით.

მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წელს მიიღო 13 969,4 ათასი ლარის შემოსულობები, რაც წინა პერიოდთან შედარებით 1 511,1 ათასი ლარით მეტია. ფაქტიური შემოსულობების მატება წინა წელთან შედარებით, გამოწვეულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების, ასევე საკუთარი შემოსულობების გაზრდით. მუნიციპალიტეტმა ათ თვეში უკვე მიიღო 6 972,4 ათასი ლარის საკუთარი შემოსულობები. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა საგზაო ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები, გეგმა შესრულდა გადაჭარბებით და წლის ბოლომდე უპირობოდ მივიღებთ 2 000,0 ათას ლარზე მეტ შემოსავალს. სხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლების გადაფარვის

ხარჯზე მერია უზრუნველყოფს მიმდინარე წლის აღებული ვალდებულებების შესრულებას, ამასთან შეინარჩუნებს გარდამავალ ნაშთს, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გაწერილი.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განისაზღვრებოდა 9090,1 ათასი ლარით. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტის ხარჯები გაზრდილია 12 705,3 ათასი ლარით და შეადგენს 21 795,5 ათას ლარს. განვლილ ათ თვეში ფაქტობრივად დაფინანსდა 15 583,3 ათასი ლარის ხარჯები. მუნიციპალიტეტმა შეძლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაეხარჯა 3 001,0 ათასი ლარით მეტი.

ყველაზე მეტი ხარჯი გაწეულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და შეადგენს 8 613,6 ათას ლარს;

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტზე დახარჯა 921,4 ათასი ლარი;

განათლებაზე -1 940,2 ათასი ლარი;

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული ღონისძიებებზე - 1 053,0 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პრიორიტეტზე-1 018,6 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამების 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულთან შედარებით გაზრდილია 235,2 ათასი ლარით და შეადგენს 1 200,2 ათას ლარს;

მერის სარეზერვო ფონდი მთლიანად სოციალურ პროგრამებზე იქნა განაწილებული და შეადგინა 35.9 ათას ლარი;

მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული 15 583,3 ათასი ლარის დანახარჯებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი 50,0 % (7 787,1 ათასი ლარი) მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე, რაც ყველა განვლილ წინა წლის პერიოდის მაჩვენებლებს აღემატება.

სამოქალაქო ბიუჯეტი

2022 წლიდან ხარაგაულის მერია მოსახლეობას სამოქალაქო ბიუჯეტს სთავაზობს. ვფიქრობ, „სამოქალაქო ბიუჯეტი“ თვითმმართველობის განვითარების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. პროექტი საპილოტეა, თუმცა შემდგომში უფრო დაიხვეწება და ფართომასშტაბიან სახეს მიიღებს.

ამ ეტაპზე შვიდ საპროექტო წინადადებას დავაფინანსებთ, რომლებიც კონკურსის წესით გამოვლინდნენ. 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში ამ მიმართულებით 150 000 ლარი გავითვალისწინეთ.

შესყიდვების სამსახური

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ 2020 წლის ნოემბერში, მას მერე, რაც მერის უფლებამოსილების განხორციელებას შევუდექი, აქტიურად დავიწყე მუშაობა შესყიდვების სამსახურის შექმნის თაობაზე. მანამდე გვქონდა მხოლოდ განყოფილება, რომელიც ადმინისტრაციულ სამსახურში შედიოდა. ვფიქრობ, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგან ამ მიმართულებით გვაქვს გაცილებით კარგი შედეგები, ვიდრე იყო გასულ წლებში.

მიმდინარე წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა სხვადასხვა სახის სახელმწიფო შესყიდვა, რომელთა სახელშეკრულებო ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 9 146 212,45 ლარი. ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 7 660 967.78 ლარის შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვით- 875 727.69 ლარის, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, SMP მოდულის საშუალებით- 152 655.82 ლარის, კონსოლიდირებული ტენდერების საფუძველზე -464 911.16 ლარის.

ყველა ხელშეკრულება გაფორმების თარიღიდან 10 დღის ვადაში იტვირთება და რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. რეგისტრირებულ ხელშეკრულებებზე ეტაპობრივად იტვირთება ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურებისა და ასევე გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული სამსახური

2021 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ მუშაობა განაახლა ახალ საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში -MSDA.

საანგარიშო პერიოდში მერიაში შემოსულია 6731 კორესპონდენცია, რომლებზეც პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობა 6417-ს შეადგენს.

ამ პერიოდისათვის გამოცემულია 2471 ბრძანება, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 118 განკარგულება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 1470 წერილი.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში. კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრი არიან განყოფილების თანამშრომლები. მიმდინარე წელს მოხდა 119 განაცხადის დამუშავება, მიწის ნაკვეთების ადგილზე დათვალიერება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. ასევე იურიდიული განყოფილება აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით შექმნილ საბჭოს მუშაობაში. საერთო ჯამში ამ მიმართულებით განხილულია 195 საქმე.

მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან ფუნქციონირება დაიწყო ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ.

ამ დრომდე განყოფილებაში შემოვიდა 16 ქეისი, ყველა მათგანზე მოხდა ჯგუფური გასვლა და ადგილზე მდგომარეობის გაცნობა. სოციალური მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე დადებულია დასკვნა. ზოგიერთ შემთხვევაზე საქმე არ დახურულა, განყოფილების მხრიდან მიმდინარეობს ოჯახთა და ბავშვთა მონიტორინგი.

განათლების სამინისტროსთან ერთად, განყოფილებამ მოახდინა ისეთი მოზარდების იდენტიფიცირება, რომლებსაც, მიუხედავად სასკოლო ასაკისა, არასდროს ჰქონიათ მოსწავლის სტატუსი და არ ირიცხებიან არცერთ სკოლაში.

მოკვლეულ იქნა ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები და, მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, შემუშავდება ისეთ პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი ბავშვების განათლებისა და განვითარების პროგრესის მხარდაჭერას.

დაგეგმილია ასევე არასრულწლოვან შშმ პირთა ბაზის მოძიება და კომუნიკაცია მათს ოჯახთან.

გარდა ამისა, განყოფილება მუშაობს ახალი პროგრამის შემუშავებაზე, რომლის ფარგლებშიც მოხდება იმ ოჯახების აღნუსხვა, სადაც ცხოვრობენ არასრულწლოვნები და გრძელვადიანი გეგმის ფარგლებში ვიზრუნებთ ასეთი ოჯახების ეკონომიკურ გაძლიერებაზე და მათი კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ადმინისტირებას უწევს ვებ-გვერდს

www.kharagaulinews.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ.

ასევე ახდენს სოციალური ქსელების (მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის და ჯგუფის) ადმინისტრირებას.

ახდენს მერიის საქმიანობის განხორციელებისას დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე მონაცემთა ბაზის, არქივის შექმნას და ინფორმაციის ანალიზს.

განყოფილების საქმიანობაში შედის ყოველკვირეულ და ფორსმაჟორულ სიტუაციებში ყოველდღიური ინფორმაციის მიღება, ასევე ხარაგაულში მომხდარი სიახლეების, სამომავლო პროექტების დამუშავება და საზოგადოებისთვის გაცნობა;

2021 წელს ხარაგაულის_მერიამ მოქალაქეებს ახალ ელექტრონული პლატფორმა შესთავაზა.

 ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო (LDA Georgia) ხარაგაულის მერიასთან ერთად ახალი ონლაინ პლატფორმა შექმნა.

მოქალაქეთა უკუკავშირის პლატფორმის ბმული სახელად - „მოქალაქეთა უკუკავშირი/Citizens feedback“ ხარაგაულის ვებ გვერდზე kharagaulinews.gov.ge განთავსდება.

ახალი ონლაინ პლატფორმის მიზანი იქნება მოქალაქეების მხრიდან შეფასდეს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისები და პროგრამები.

ხარაგაულის მერია კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას, ეფექტურად გამოიყენებს მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის გასაზომად.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება აქტიურად ახდენს მერიის სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების ოპერატიულ და სისტემატიურ ინფორმირებას, ასევე მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას საზოგადოებისათვის პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით;

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მუშაობის შედეგად ხდება მერის, და მერიის შესაბამისის სამსახურების წარმომადგენლების მიერ მჭიდრო კონტაქტების დამყარება მოქალაქეებსა და ინტერეს ჯგუფებთან.

საზოგადოებისათვის ხარაგაულის მერიის სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი შესაბამისი სამსახურების მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების განმარტება;

მერის და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

ხარაგაულის მოსახლეობისათვის პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრების მომზადება და ჩატარება.

მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნით კონფერენციების, თემატური შეხვედრების, კონკურსების, გამოფენების, პრეს-ტურებისა და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება;

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, საინფორმაციო ბიულეტენების, ბუკლეტების, ბროშურების, ცნობარებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის მომზადება და გამოშვება;

მედიამონიტორინგი (საინფორმაციო საშუალებების ზოგადი ანალიზი) საჭიროების შემთხვევაში მათზე რეაგირება, ხარაგაულის მერიის პოზიციის გამოხატვისათვის და საზოგადოების სწორი ინფორმირებისათვის;

საჭიროების შემთხვევაში ხარაგაულის მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა;

ხარაგაულის მერიის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება და მომართვის შემთხვევაში მათი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის მიწოდება.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, მერიის კულტურის სამსახური და შესაბამისი მიმართულების ა(ა) იპ -ები, რეგულაციების დაცვით, კვლავ აქტიურად განაგრძობენ საქმიანობას.

წლის განმავლობაში მოეწყო სხვადასხვა სადღესასწაულო, კულტურულ-შემეცნებითი, სპორტულ- ახალგაზრდული ღონისძიება, ასევე ინტელექტ-ჩემპიონატი ,,ეტალონი“, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას.

მიმდინარე წელს შევიძინეთ წიგნ-რვეული ,,პირველკლასელთა აკადემია“, რომელიც 219 პირველკლასელს საჩუქრად გადავეცით.

ხარაგაულელი ახალგაზრდები იმყოფებოდნენ მესტიაში, Icsu-დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების მიერ ორგანიზებულ ბანაკში ,,ქართული კულტურის დღეები მესტია 2021“.

კინოფესტივალზე -,,თბილისური აისი“, - წარმოდგენილი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა მიერ გადაღებული ფილმი ,,მარტოსული“, რომელიც დასახელდა საუკეთესო ფილმად.

მაქსიმალურად ვცდილობთ ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის იერსახის გალამაზებას.

წლის განმავლობაში კოსმეტიკური რემონტი ჩაუტარდა ორ საგამოფენო სივრცეს, მოიხვეწა და ლაქით დამუშავდა მეორე სართულის კიბე და ორი საგამოფენო დარბაზი, აქვე დაემატა განათების მოწყობილობა. პირველ სართულზე გაკეთდა კარადები, რაც წლების განმავლობაში აუცილებლობას წარმოადგენდა მუზეუმისთვის.

მუნიციპალიტეტის სამი სასოფლო განყოფილება ჩაერთო პროექტში,, კომპიუტერი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, მათ გადაეცათ კომპიუტერების სრული აღჭურვილობა. 2021 წელს მოხდა 22 სასოფლო ბიბლიოთეკაში მომუშავე თანამშრომლებისათვის ხელფასების მომატება.

ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა რევაზ ლაღიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით, ხარაგაულელი ახალგაზრდები წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამართულ ჩემპიონატებში.

პანდემიის პერიოდში სისტემატურად ხდება ბაღების გაერთიანების მიერ აღსაზრდელებისათვის საკვები პროდუქტების დარიგება.

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალში, თეატრი დაჯილდოვდა ორ მთავარ ნომინაციაში. გარდა ამისა, შედგა ახალი სპექტაკლის პრემიერა.

აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაღებულ იქნა ხარაგაულის თეატრის სპექტაკლი ,,ორნი“. ეს უკვე მესამე სპექტაკლია, რომელიც ტელევიზიამ გადაიღო.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულიმა თეატრმა ხარაგაულსა და ღორეშაში მოაწყო ახმედ გოგოლაძისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია, ხოლო ფარცხნალში გალაკტიონ ტაბიძის აღნიშნულ სოფელში ერთწლიანი პედაგოგიურ მოღვაწეობის ამსახველი წიგნის ,,გალაკტიონის ნატერფალებზე“ პრეზენტაცია. თეატრის ორგანიზებით, ჩატარდა პლენერი ,,გამა“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მხატვრები.

სულ რამდენიმე ხნის წინ, მუნიციპალიტეტში მოეწყო ქართულ-ებრაული ორგანიზაციის- ,, მეგობრობის მერიდიანების“ - მიერ გამოცემული ამავე სახელწოდების ჟურნალის პრეზენტაცია.

აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთი თანადამფუძნებელი გახლავართ პირადად მე და ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი ქ-ნ იზა ვეფხვაძე.

ეკონომიკა და ქონების მართვა

2021 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო. წლებია, ეს პრობლემა არსებობს და მისასალმებელია, რომ ამ საკითხზე პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, აქტიურად იმუშავა. ინვენტარიზაცია 2022 წლის თებერვლამდე დასრულდება, რომელშიც ჩართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია („სათეფა“). ამ ეტაპზე უკვე მოხდა 400-მდე ობიექტის აღნუსხვა და ერთიან ბაზაში მოქცევა.

ჩატარდა ელექტრონული აუქციონები, რომლის საფუძველზეც გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონება. პრივატიზაციის თანხებიდან ბიუჯეტში შემოვიდა 78641 ლარი და გეგმა შესრულდა 262%-ით.

მერიის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა ლაშის იგორეთში 19 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსდა სასმელი წყლის მიწოდების მიზნით საჭირო ინფრასტრუქტურა. ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემულ იქნა ასევე ვარძიაში (150 კვ.მ), ღორეშაში (90 კვ.მ) და ზვარეში (432 კმ.მ) არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. გარდა ამისა, ხარაგაულში სოლომონ მეფის N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (ყოფილი უნივერმაღი). შენობის მდგრადობის მიზნით, ხელშეკრულება გაფორმდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსთან და პასუხს მივიღებთ ახლო მომავალში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნით, განხორციელდა მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში. კერძოდ: ბორითში არსებული 4149 კვ.მ მიწის ნაკვეთი სახანძრო-სამაშველო სამსახურის განსათავსებლად, ხევში 412 კვ.მ მიწის ნაკვეთი საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის.

გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულებები-სოფელ ხევში 300 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ამბულატორიის მშენებლობისთვის;

სოფელ საღანძილეში 147 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზედ მდგარი 89 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე, ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის. ამჟამად ხელშეკრულებები გაგზავნილია საჯარო რეესტრში და ველოდებით დარეგისტრირებას.

მიღებული გვქონდა შვიდი ფიზიკური პირის განცხადება, რომლებიც ითხოვდნენ უძრავ ქონებას საპრივატიზაციოდ ან იჯარით. კანონმდებლობის ფარგლებში, ყველა მათგანზე გატარდა სათანადო რეაგირება.

მერიამ შეიმუშავა ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც ა(ი)პ დასუფთავებისა და კეთილმწყობის გაერთიანებასთან ერთად ეტაპობრივად ვახორციელებთ, აგრეთვე ვთანამშრომლობთ საქართველოს მუნიციპალური განვითარების დეპარტამენტთან და ყოველი წლის ბოლოს იგზავნება გარემოსდაცვითი ანგარიშები.

ყოველთვიურად ხორციელდება დასუფთავების მოსაკრებლისა და იჯარის ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხების ბიუჯეტში შემოსვლა.

დასუფთავების მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შემოსულია 52822 ლარი(გეგმა შესრულდა 117,4%-ით).

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური

ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის მხრიდან შემოსული წერილების განხილვა და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, დასახლებების დაგეგმარების და მშენებლობის საკითხებზე მუშაობა. ასევე გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ მშენებლობისათვის სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დამტკიცება მოხდა 35 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტზე;

სამშენებლო პროექტების შეთანხმება -48 სხვადასხვა ობიექტზე;

მშენებლობის ნებართვის გაიცა 39 ობიექტზე;

მიმდინარე წელს მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლიდან ბიუჯეტში შემოსულია 90287 ლარი.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის ხუთი ფაქტი. თითოეულ მათგანს მიეცა მითითება სათანადო ოქმის საშუალებით, ზოგიერთი კი დაჯარიმდა გარკვეული თანხით.

სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახური

საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან, საჯარო სკოლებიდან და ორგანიზაციებიდან მოხდა 2004 წელს დაბადებული ჭაბუკების აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე. საერთო ჯამში, სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა 215 ჭაბუკი. შეიქმნა თითოეულ მათგანზე პირადი საქმეები და განთავსდა შესაბამის კარტოთეკაში.

2021 წლის თებერვალ-ივლისში დაიწყო საგაზაფხულო გაწვევა. გეგმა-დავალებით განსაზღვრული იყო 18 წვევამდელის ჩარიცხვა. გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 171 წვევამდელი, აქედან კანონის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 11, გადავადება მიიღო 148 წვევამდელმა, 12 კი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფში.

მიმდინარე წლის 2 აგვისტოდან 25 დეკემბრამდე მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა. გეგმა-დავალებით განსაზღვრული გვაქვს 18 წვევამდელის ჩარიცხვა. ამ პერიოდისათვის უკვე მოხდა 13 წვევამდელის ჩარიცხვა.

თავდაცვის სამინისტროში აქტიურად მიმდინარეობს უწყებათაშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება ,,დიდგორი-2021“, რომელშიც აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის სამხედრო სამსახური. მოქმედებს გეგმით გათვალისწინებული გამოძახებები და სრულ მზადყოფნაში გვყვანან ის რეზერვისტები, რომლებიც ექვემდებარებიან გამოძახებას და სწავლის გავლას დისლოკაციის ადგილზე.